



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

25 ივნისი 2025



N 333/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ცაგერის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ გაყვანაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (ს.კ. 204995176) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 3 მარტს (წერილი N3144) წარმოდგენილია ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ გაყვანის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N 177/ს; 07/04/2025) და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2024 წლის 5 მაისს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ცაგერის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ გაყვანის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N 353/ს; 10/07/2024).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე 500 კვ „ლაჯანურის“ და 500 კვ „წყალტუბოს“ ქვესადგურების ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით, დაგეგმილი აქვს 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომ - ეგხ) „ლაჯანური-წყალტუბოს“ გაყვანა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგხ-ის სიგრძე იქნება 47,4 კმ. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ეგხ-ის დერეფნიდან (განაპირა სადენიდან) დაშორებულია დაახლოებით 40-45 მ-ით (სოფ. გუმბრა). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ეგხ-ის დერეფნიდან სათაფლიის ნაკრძალის საზღვრამდე მანძილი შეადგენს 130 მეტრს. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი კვეთს რამდენიმე მდინარეს, მათ შორის, მდ. რიონს, მდ. ლეხიდარს, მდ. უცხერის ღელეს, გარდა ამისა, ასევე გადაკვეთს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შ-16 „ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)“ და შ-15 „ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილი“ საავტომობილო გზებს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, უახლოესი ზედაპირული

წყლის ობიექტი (მდ. რიონი) ეგზ-ის N72 („AP 28/4“) საყრდენი ანძიდან (GPS კოორდინატები: X-310941; Y-4694389) დაშორებულია დაახლოებით 150 მეტრით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ანალიზი, მათ შორის განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის ტიპების, მარშრუტების და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივები. გზშ-ის ანგარიშში განხილულია 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სამი ალტერნატიული ვარიანტი.

პირველი ალტერნატიული ვარიანტი ითვალისწინებს მშენებარე 500 კვ ძაბვის ქ/ს „ლაჯანური 500“-დან არსებული ეგზ „ჯვარი-წყალტუბო“-მდე გაყვანას, რა დროსაც, ადმინისტრაციულად, დერეფანი გაივლის ცაგერის, წყალტუბოს და ხონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს.

მეორე ალტერნატიული ვარიანტი გულისხმობს მშენებარე 500კვ ძაბვის ქ/ს „ლაჯანური 500“-დან 500 კვ ძაბვის ქ/ს „წყალტუბო“-მდე ეგზ-ის გაყვანას, რა დროსაც, ადმინისტრაციულად, ეგზ-ის დერეფანი გაივლის ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებს.

მესამე ალტერნატიული ვარიანტი ითვალისწინებს მშენებარე 500 კვ ძაბვის ქ/ს „ლაჯანური 500“-დან 500 კვ ძაბვის ქ/ს „წყალტუბო“-მდე ეგზ-ის გაყვანას, მესამე ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში, ეგზ-ის დერეფნის საწყისი მონაკვეთი ემთხვევა პირველი ალტერნატიული ვარიანტის დერეფანს, ხოლო ბოლო მონაკვეთი მე-2 ალტერნატიული ვარიანტის დერეფანს. ეგზ-ის გაყვანის ალტერნატიული მარშრუტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გარემოსდაცვითი, მათ შორის, გეოლოგიურ და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ნაკლები ზემოქმედების კუთხით, უპირატესობა მიენიჭა მეორე ალტერნატიულ ვარიანტს. ეგზ-ის ტიპის ალტერნატიული ვარიანტების განხილვისას, გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა საპარო ტიპის ეგზ-ის გაყვანას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო 500 კვ ძაბვის საპარო ეგზ-ის სიგრძე იქნება დაახლოებით 47.4 კმ, აღნიშნულ დერეფანში გათვალისწინებულია 118 საყრდენი ანძის მოწყობა. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული საპროექტო საყრდენი ანძის GPS კოორდინატების შესახებ. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, 500 კვ ეგზ-ის საწყისი წერტილი განთავსებული იქნება - ქ/ს „ლაჯანური 500“-ის (რომელზეც გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-592; 25.06.2019)) ტერიტორიაზე, GPS კოორდინატებით: X-320178, Y-4714263, ხოლო საბოლოო წერტილი დაერთდება ქ/ს „წყალტუბო 500“-თან (ბრძანება N 2-416; 16.05.2019) GPS კოორდინატებით X-301715, Y-4683966). ეგზ-ის დერეფანი გაივლის სოფ. ალპანას, სოფ. დღნორისას, სოფ. მექვენას, სოფ. ჟონეთს, სოფ. ბანოჯას, სოფ. ჯვარისას, სოფ. რიონის, სოფ. ოფურჩხეთის, სოფ. წყალტუბოს, სოფ. გუმბრას და მათ მიმდებარე ტერიტორიებს. ეგზ-ის დერეფანი ძირითადად ექცევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე, გარკვეულ მონაკვეთებზე გავლენის ზონაში მოქცეულია კერძო ნაკვეთები. საპროექტო ეგზ-ის ბუფერი 2-ჯერ კვეთს მდ. რიონს, თითო-თითოჯერ მდ. ლეხიდარს და მდ. უცხერის ღელეს. საპროექტო ეგზ გარკვეულ მონაკვეთზე უახლოვდება და მიუყვება 220 კვ ძაბვის არსებული ეგზ „დერჩის“ (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება - ბრძანება N 2-335; 24.03.2021) დერეფანს. მცირე ნაწილზე, სოფ. ჟონეთის მიმდებარედ, განთავსებული იქნება 500 კვ ძაბვის ეგზ „იმერეთი“-ს დერეფნის სიახლოვეს, ეგზ ასევე გადაკვეთს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შ-16 „ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)“ და შ-15 „ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილი“ საავტომობილო გზებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საყრდენი ანძის მონტაჟისთვის გამოყენებული იქნება „B-NS“, „B10-LC“, „B-30“, „B-60“ და „B90/DE“-ტიპის ანძები და „ACSR 500/204“ და „ACSR 400/51“ მარკის სადენები. პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება „1-210kN“ ტიპის იზოლატორის ერთჯაჭვიანი დამჭერი გირლანდა, ხოლო გზის გადაკვეთის მონაკვეთებში გამოყენებული იქნება იზოლატორის ორჯაჭვიანი დამჭერი გირლანდა. საპროექტო ეგზ აღჭურვილი იქნება ორი მეხამრიდით. საპროექტო დერეფნის მთლიანი მონაკვეთის რელიეფის სირთულიდან გამომდინარე, საჭირო იქნება ანძების დაგრძელება, რაც შეამცირებს მიწის სამუშაოების მოცულობას. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგზ-ის მთელ დერეფანში უპირატესად გამოყენებული იქნება ფილა-საკვამურის ან წაკვეთილი პირამიდის ტიპის საძირკვლები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგზ-ის დერეფნის ძირითად ნაწილზე მისასვლელად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ადგილობრივი სასოფლო და სატყეო გზები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. ამასთან, ვინაიდან საპროექტო ეგზ-ის დერეფანი ძირითადად განთავსებული იქნება არსებული 220 კვ ძაბვის ეგზ „დერჩი“-ს დერეფნის სიახლოვეს, მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე შესაძლებელი იქნება ადრე გაყვანილი გზების გამოყენება. ეგზ-ის იმ მონაკვეთებზე, სადაც საყრდენი ანძების განთავსება დაგეგმილია რთული რელიეფის მქონე ძნელად მისადგომ ადგილებზე, საჭირო იქნება ახალი გზების მოწყობა. ახალი გზების სიგანე იქნება მაქსიმუმ 5 მ, გათვალისწინებულია კარგად დატკეპნილი და სათანადოდ შევსებული (მინ. 0.7 მ სისქის) ვაკისის მოწყობა. პროექტის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის მშენებლობისთვის საჭირო იქნება ჯამში დაახლოებით 38.3 კმ ახალი მისასვლელი გზის მოწყობა. გზა, ასევე იქნება უზრუნველყოფილი სათანადო დრენაჟით გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის პერიოდში, საყრდენი ანძების საძირკვლებისთვის თხრილების მოწყობის და ახალი გზების გაყვანის სამუშაოების შესრულების დროს, ადგილი ექნება ფუჭი ქანების წარმოქმნას. ეგზ-ის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული ქანების დაახლოებითი მოცულობა იქნება 150 000 მ³, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, თითოეული საყრდენი ანძის განთავსების ტერიტორიაზე მოხსნილი გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრილებისთვის, რომელიც დაიტკეპნება და ასევე მოხდება ანძის მიმდებარე ტერიტორიების მოსწორება/დატკეპნა ისეთი სახით, რომ არიდებული იქნეს წყლისმიერი ეროზია/წარეცხვა, ხოლო მისასვლელი გზების დერეფანში მოხსნილი გრუნტი გამოყენებული იქნება მისასვლელი გზების ვაკისების მოსასწორებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტი არ ითვალისწინებს ნამეტი ფუჭი გრუნტის წარმოქმნას და შესაბამისად ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობას.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის სამშენებლო ეტაპებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 1,5-2,0 წელიწადი. მშენებლობაში დასაქმებულთა მიახლოებითი რაოდენობა იქნება 80 კაცი, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობა. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეგზ-ის სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფისათვის სამშენებლო ბანაკების მოწყობა საჭირო არ არის. სამშენებლო სამუშაოების მომსახურებისთვის გამოყენებული იქნება სამშენებლო მასალების დასაწყობების ტერიტორიები, რომელიც გამოყენებული იქნება ლითონის საყრდენების და სხვადასხვა მასალის დასაწყობებისთვის და ტექნიკის სადგომისთვის. პირველი სამშენებლო მასალების დასაწყობების ტერიტორიად შერჩეულია მშენებარე „ლაჯანური 500“-ის ქვესადგურის ტერიტორია. შერჩეული ტერიტორიის ფართობია დაახლოებით 12 000 მ² (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X - 320231.64, Y- 4714272.99). მეორე სამშენებლო მასალების დასაწყობების ტერიტორიად შერჩეულია ქვესადგური „წყალტუბო 500“-ის ტერიტორია, ტერიტორიის ფართობია დაახლოებით 26 649 მ² (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X - 301859.19, Y- 4683961.85). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების მომსახურებისათვის, ბეტონის კვანძის და/ან სხვა დამხმარე საამქროების მოწყობა არ იგეგმება, ვინაიდან ანძების საძირკვლები და კონსტრუქციები შემოტანილი იქნება მზა სახით, ანძების მოწყობისთვის საჭირო მცირე რაოდენობის ბეტონის ნარევი შემოტანილი იქნება სხვა საწარმოებიდან. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შესაბამისი პირობების დაცვით დასაწყობდება სამშენებლო უბნის მიმდებარედ, ეგზ-ის დაცვის ბუფერში, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიის სათანადოდ აღდგენის მიზნით. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შემდგომში გამოყენებული იქნება იმავე ტერიტორიების რეკულტივაციის მიზნით. სულ მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სავარაუდო მოცულობა შეადგენს 12 325.3 მ³.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში წყლის გამოყენება საჭირო იქნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და მშრალ ამინდებში სამშენებლო უბნების და მისასვლელი გზების მოსარწყავად, რისთვისაც გამოყენებული იქნება შემოტანილი წყალი. მშრალ ამინდებში გზების და სამშენებლო უბნების მორწყვის მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა წლის განმავლობაში დაახლოებით იქნება 1000-1500 მ³. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების შესაგროვებლად სამშენებლო უბნებზე და სასაწყობე ტერიტორიებზე განთავსდება ბიო-ტუალეტები, რომელთა განტვირთვა მოხდება შესაბამისი

ხელშეკრულების საფუძველზე. ეგზ-ის ექსპლუატაციის ეტაპზე ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების, პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი ექნება მხოლოდ საპროექტო ეგზ-ის მშენებლობის და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ეტაპზე, რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძრავებიდან აირების გაფრქვევასთან და მათი მოძრაობის შედეგად მტვრის გავრცელებასთან. ექსპლუატაციის ეტაპზე, ეგზ-ის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებისას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. გამონაბოლქვის და მტვრის გავრცელების შემცირების მიზნით გზშ-ის ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, მშენებლობის ეტაპზე გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა, მშრალ ამინდში მტვრის ემისიის შესამცირებლად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები (მაგ. საჭიროების შემთხვევაში დასახლებულ პუნქტებში გამავალი გზების და სამუშაო უბნების მორწყვა, ნაყარი სამშენებლო მასალების შენახვის წესების დაცვა). ასევე უზრუნველყოფილი იქნება მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა და სხვ.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ხმაურის გავრცელების სიდიდეების შესაფასებლად განხორციელდა ეგზ-ის მონაკვეთების ცალკეულ უბნებად განხილვა (საერთო ჯამში, 4 უბანი), რომლებიც ყველაზე ახლოს მდებარეობს დასახლებულ ზონასთან. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ხმაურის დონეების გაანგარიშების შესახებ, შესაბამისი გამოთვლებისა და ფორმულების მითითებით, რომელთა მიხედვითაც, დღის საათებში ეგზ-ის მონაკვეთის ცალკეულ უბნებზე ყველა ხმაურწარმოქმნელი წყაროს ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში, სადაც გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ხმაურის წყაროებსა და საანგარიშო წერტილს შორის არსებული ბუნებრივი თუ ხელოვნური ეკრანები, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან გავრცელებული აკუსტიკური ხმაურის დონე შეადგენს 60 დბა; 53 დბა; 61 დბა და 64 დბა. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ხმაურის გავრცელების დონეების შემცირების მიზნით, მშენებლობის ეტაპზე, გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მაგალითად: სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში; ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროულად არ იმუშავებს, მოხდება შედარებით სენსიტიურ მონაკვეთზე მომუშავე ხმაურწარმოქმნელი წყაროების რაოდენობის შემცირება; თითოეულ უბანზე მიწის სამუშაოების წარმოების ხანგრძლივობა არ აღემატება 8-10 დღეს, უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელება დაკავშირებული იქნება მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან, თუმცა, ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო საყრდენი ანძების განთავსების წერტილებში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები, მათ შორის, წარმოდგენილია ინფორმაცია გაყვანილი შურფების შესახებ (ცხრილი 5.3.2.4.1.), GPS კოორდინატებთან ერთად. ამასთან, გზშ-ის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს კვლევა ზოგადი გეოლოგიური და გეოტექნიკური მახასიათებლების შესახებ. წარმოდგენილი კვლევის შედეგების მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის ყველა მონაკვეთის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური პირობები არაერთგვაროვანი და განსხვავებულია. ტრასის უმეტესი ნაწილი გამოირჩევა მდგრადობის კარგი ხარისხით. სეისმური დარაიონების მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას. ტერიტორიის ამგვარ ქანებს წარმოადგენენ ქვიშაქვები და კირქვები, რომლებიც გადაფარულია თიხნარისა და ღორღნარის ფენით, რომელთაც ზემოდან ფარავს ნიადაგის ფენა. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, შურფებისა და ჭაბურღილების გაყვანისას გრუნტის წყლები გამოვლინდა ძირითადად მხოლოდ მცირე შემონადენის (სისველის) სახით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის

მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უმეტეს ნაწილში უარყოფითი გეოდინამიკური პროცესები მოსალოდნელი არ არის. კვლევის შედეგების მიხედვით, მხოლოდ რამდენიმე უბანზე იქნება საჭირო საშიში გეოდინამიკური პროცესების პრევენციული ღონისძიებების გატარება, კერძოდ, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის იმ უბნებზე, სადაც საყრდენი ანძების განთავსება იგეგმება მაღალი დახრილობის და ციცაბო ფერდობებზე, შესაძლებელია საჭირო გახდეს ფერდობის დატერასება, ზედაპირული და გრუნტის წყლებისგან ფერდობის დაცვა ორგანიზებული სადრენაჟო არხების მოწყობით და ყველა ის ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს ფერდობის არასტაბილურობისგან დაცვას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სააგენტოში დაცული ინფორმაციით, ეგხ-ის № 15-16-17-18-19 ანძები ხვდება მეწყრული სხეულის არეალში (სოფ. ორხვის ტერიტორია). გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეგხ-ის ექსპლუატაციის პირველი სამი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება საშიში გეოდინამიკური პროცესების მონიტორინგი, წელიწადში ორჯერ და საჭიროების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე, ზედაპირული წყლების ობიექტებზე ზემოქმედება მოსალოდნელია იმ ადგილებში, სადაც სამშენებლო სამუშაოები წარიმართება ზედაპირული წყლის ობიექტების სიახლოვეს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის ბუფერი 2-ჯერ კვეთს მდ. რიონს, 1-ჯერ მდ. ლეხიდარს და 1-ჯერ მდ. უცხერის დელეს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, არც ერთი საპროექტო საყრდენი ანძა არ განთავსდება მდინარის კალაპოტში და ისინი დამორებული იქნება აქტიური კალაპოტიდან. ეგხ-ის საყრდენი ანძიდან (N 72 - GPS კოორდინატი: X – 310941; Y – 4694389) მანძილი უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. რიონი) შეადგენს დაახლოებით 150 მეტრს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ანძების მოწყობისას და მიმდებარე ტერიტორიებზე სამუშაოების ჩატარებისას ზედაპირული წყლის ობიექტებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ეგხ-ის 47.4 კმ სიგრძის მონაკვეთზე ეგხ-ის დერეფანი გაივლის ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე, მათ შორის, ზოგიერთ მონაკვეთზე გავლენის ზონაში მოქცეულია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სულ გავლენის ზონაში მოქცეულია 259 კერძო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი. აქედან 29 ნაკვეთზე 19 საყრდენი ანძა ექცევა კერძო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ხოლო დანარჩენ ნაკვეთებში საყრდენი ანძების განთავსება დაგეგმილი არ არის. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო ეგხ-ის დაცვის ზონაში არ ხდება საცხოვრებელი სახლი, თუმცა, ხდება 5 დამხმარე შენობა, 5 შესასვლელი (ქიშკარი) და სხვა სახის ნაგებობები, რომლებიც არ გამოიყენება საცხოვრებლად, შესაბამისად, მესაკუთრეებთან შეთანხმებით გათვალისწინებულია აღნიშნული ნაგებობების დემონტაჟი და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურება.

საპროექტო დერეფნის უმეტესი ნაწილი ტყით არის დაფარული, საპროექტო ზონაში ძირითადად წარმოდგენილია შერეული ტყე ფართოფოთლოვნების დომინირებით. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დეტალური ბოტანიკური კვლევების შედეგები. სავსე კვლევებზე დაყრდნობით საპროექტო დერეფანში გამოვლენილია მაღალი და საშუალო ტიპის მნიშვნელობის ადგილები. ბოტანიკური კვლევების ჩატარების შედეგად საპროექტო დერეფანში დაფიქსირდა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მცენარეთა ხუთი სახეობა: ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*), კაკლის ხე (*Juglans regia*), კეთილშობილი დაფნა (*Laurus nobilis*), იმერული მუხა (*Quercus imeretina*), ბალაშწარა (*Cerasus silvestris*). აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გვხვდება ზოგიერთი იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და მოწყვლადი სახეობა. მაგალითად: *Paracynoglossum imeretinum*-საქართველოს ენდემი, *Omphalodes caucasica*- საქართველოს (კოლხეთის) ენდემი; *Euphorbia macroceras*-კავკასიის ენდემი; *Pyrus caucasica*-კავკასიის ენდემი; წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო დერეფანი კვეთს ეროვნული სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ მიწებს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო ტყის ფართობებით სარგებლობა, ეგხ-ის მშენებლობის მიზნით, განხორციელდება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვების გზით, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით, რისთვისაც მომზადებულია „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია (სადაც მოცემულია დერეფანში ჭრას

დაქვემდებარებული მერქნული რესურსის აღრიცხვის შედეგები), რაც დანართის სახით თან ახლავს გზშ-ის ანგარიშს. მერქნული რესურსის აღრიცხვის შედეგების მიხედვით, დაგეგმილია 53 559 ცალი ხის ძირის ჭრა, საიდანაც „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული სახეობებია: მუხა - 2456, კაკლის ხე 2, წაბლის ხე - 10851, ბალაწარა - 372. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი (საპროექტო ტერიტორია/ინფრასტრუქტურა) 467.6 ჰა ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 2825699 კვ.მ. წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ცაგერის სატყეო უბნის ტვიშის სატყეოს, წყალტუბო-ქუთაისის სატყეო უბნის ჟონეთისა და ცხუნკურის სატყეოებს და ტყიბულის სატყეო უბნის ორპირის სატყეოს. ამასთან, სახელმწიფო ტყეში მდებარე აღნიშნული ფართობი ნაწილობრივ ან მთლიანად ზედდებამია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე. აღნიშნულიდან, გამომდინარე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, საპროექტო მონაკვეთი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის საზღვრებში. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ეგხ-ის მცირე მონაკვეთი გაივლის ზურმუხტის ქსელის მიღებული უბნიდან ("Ratcha 3 GE0000041") 2.1 კილომეტრის დაცილებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ეგხ-ის დერეფნიდან სათაფლიის ნაკრძალის საზღვრამდე მანძილი შეადგენს 130 მეტრს, ხოლო აღკვეთილის საზღვრამდე -დაახლოებით 1.25 კმ-ს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 40-მდე, ქვეწარმავლების და ამფიბიების 21, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. განხორციელებული საველე კვლევისას ეგხ-ის სხვადასხვა მონაკვეთებზე დაფიქსირდა, მურა დათვის (*Ursus arctos*), მგლის (*Canis lupus*) და კვერნის (*Martes martes*) ექსკრემენტები. ამასთან, ეგხ-ის დერეფანში, მდინარე რიონის გადაკვეთებთან შესაძლოა არსებობდეს „საქართველოს წითელი ნუსხის“ დაცული სახეობის - წავის არსებობის ალბათობაც. ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გამრავლების უნარის და ნორმალური ცხოველმოქმედების დაქვეითებასთან, ცხოველთა მიგრაციის შეფერხებასთან და სხვ. აღნიშნულის საპირწონედ, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ. მაგალითად: ფაუნაზე ზემოქმედების შემცირებისთვის სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიების შემოწმება ცალკეული სახეობების საბუდარი ადგილების/სოროების გამოვლენის მიზნით; ასევე, თხრილების და მშენებლობის პროცესში დატოვებული სხვა მსგავსი სახიფათო უბნების შემოღობვა, ცხოველების შიგნით ჩავარდნის პრევენციის მიზნით და სხვ.

საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ხელფრთიანების 20-მდე სახეობა. საპროექტო რეგიონის ფარგლებში, „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული სახეობებიდან გვხვდება სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*), მეჭელის ცხვირნალა (*Rhinolophus mehelyi*) და ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაფიქსირდა 30-მდე სახეობის ფრინველი. სოფ. ალპანასა და სოფ. ტვიშის მიმდებარე კლდოვან მასივებში აღმოჩენილია ორბის (*Gyps fulvus*) საბუდარი ადგილები და რამდენიმე ინდივიდი. ასევე დაფიქსირდა ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo*). ექსპლუატაციის ეტაპზე ხელფრთიანებსა და ფრინველებზე ზემოქმედება შესაძლოა გამოიხატოს ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენებთან და სადენებთან შეჯახებით ან ელ-შოკით დაზიანება/დაღუპვით. გზშ-ში წარმოდგენილია ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები, როგორცაა უსაფრთხოების ზომების დაცვა და მონიტორინგი. მაღალი სიკვდილიანობის ზონების იდენტიფიკაციის შემთხვევაში გათვალისწინებულია დამატებითი შემარბილებელი ზომები, მაგალითად, სადენების დამაფრთხილებელი მოწყობილობებით აღჭურვა.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო დერეფანი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. აღნიშნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის

ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, დაგეგმილი სამუშაოები წარიმართოს პროექტის შესაბამისად. ხოლო N 8 საყრდენიდან („AP04“) N 28 („AP10“) საყრდენის ჩათვლით ანძების განთავსების ადგილას მიწის სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ არქეოლოგიის ზედამხედველობით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, გაცემული ა N 578 (ტეშენიტი, ფ/პ დავით ჩაგიაშვილი), N 890 (კირქვა, შპს „სამგურალი 2020“,), N10002922 (შპს მინერალ +) ლიცენზიების კონტურებს. ამასთან, წარმოდგენილი ტერიტორია კვეთს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების N1002695 (ფ/პ გენადი გურეშიძე) ლიცენზიის სანიტარიული დაცვის პირველი მკაცრი რეჟიმის ზონას, რომელიც უნდა გადიოდეს გამოსავლიდან არანაკლებ 15 მეტრში. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. საპროექტო ტერიტორია, ასევე, კვეთს მექვენას ბარიტ-კალციტის, ოსუნელას კირქვის და ღვედის კალციტის საბადოების და ძეძილეთის კირქვის გამოვლინების კონტურებს. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია აღნიშნულ ნაწილში ექვემდებარება წიაღზე დამაგრებას. გზშ-ის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს საკითხის სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. საპროექტო ეგზ-ის დერეფნის დიდ ნაწილი გადაიკვეთება და/ან განთავსებული იქნება 220 კვ ძაბვის ეგზ „დერჩი“-ის დერეფნის სიახლოვეს, მცირე ნაწილზე, სოფ. ჟონეთის მიმდებარედ, განთავსებული იქნება 500 კვ ძაბვის ეგზ „იმერეთი“-ს დერეფნის სიახლოვეს, ასევე 500კვ ძაბვის ქვესადგურ „წყალტუბო 500“-ის და ქვესადგურ „ლაჯანურ 500“-ის სიახლოვეს, ასევე ეგზ გადაკვეთს 110 კვ და 35 კვ (სოფ. ჟონეთის მიმდებარედ) ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი არსებულ ეგზ-ებთან ერთობლიობაში შექმნის ხელოვნურ ბარიერს მაღალი სიჩქარით მფრენი ფრინველებისთვის. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კუმულაციურ ზემოქმედებას გარკვეულწილად შეამცირებს ფრინველთა სამიგრაციო დერეფნების საპროექტო ზონის სიახლოვეს არარსებობა (მინიმალური მანძილი - 9.3 კმ). ასევე, პროექტით გათვალისწინებულ ელექტროგადამცემ ხაზებს შორის მინიმალური მანძილების დაცვა. კერძოდ, 500 კვ საჰაერო ეგზ-ებს შორის მინიმალური დაცილების მანძილია არანაკლებ 5 მეტრი. ასევე, ეგზ „დერჩის“ განაპირა კაბელებს შორის - 48 მეტრი.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი პროექტის განხორციელების პროცესში, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის დროს ადგილი ექნება სხვადასხვა სახის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ასევე ის არასახიფათო ნარჩენები, რომელთა გატანა და განთავსება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე დაშვებულია, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო უბნებიდან გატანილი იქნება და განთავსდება არასახიფათო მყარი მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე. ყველა სახის არასახიფათო ნარჩენი, რომელთა აღდგენა შესაძლებელია და ასევე სახიფათო ნარჩენები, დაგროვების შესაბამისად, შემდგომი აღდგენის ან განთავსების მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიებს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ეგზ-ის სამშენებლო სამუშაოებისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება გარკვეულ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებების რეცეპტორები იქნება ეგზ-ის დერეფნის მიმდებარე სოფლების მოსახლეობა, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შ-16 „ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)“ და შ-15 „ქუთაისი (წყალტუბოს გადასახვევი)-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილი“ საავტომობილო გზებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მგზავრები და სხვ. გზშ-ის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სადაც მოცემულია ტექნიკური პირობების დაცვის შესახებ საკითხები. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებები: დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების

განთავსება ნაკლებად შესაძრწევ ადგილებზე, ასევე სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება და სხვ.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე მაღალი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ექსპლუატაციის ეტაპზე ავტოტრანსპორტის გამოყენება საჭირო იქნება სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად. შესაბამისად, მოძრაობა არ იქნება ინტენსიური და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. ასევე, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს, ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია გაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, ცაგერის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებს და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 22 და 23 მაისს სოფ. გუმბრას, სოფ. ჯვარისას და სოფ. დღნორისას ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში, ასევე სოფ. ოფურჩხეთის ბიბლიოთეკის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და შესაბამისი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან ყურადღება ძირითადად გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. საჯარო განხილვებზე დასმულ საკითხებზე შესაბამისი განმარტებები გააკეთეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებმა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის დაგეგმილი საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულების ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნების შეჯერების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის 28-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ცაგერის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 500 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ლაჯანური-წყალტუბოს“ გაყვანაზე;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია:
 - ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
 - ბ) №15-16-17-18-19 ანძების მშენებლობისას მხედველობაში მიიღოს, რომ ანძები ხვდება მეწყრული სხეულის არეალში (სოფ. ორხვის ტერიტორია) და აღნიშნული გარემოება გაითვალისწინოს ეგზ-ს

პროექტირება-მშენებლობის პროცესში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება. ასევე, მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ლაბორატორიული კვლევის ნაწილის და სავსე სამუშაოებისა და სამთო გამონამუშევრებიდან ამოღებული ნიმუშების ფოტომასალის სააგენტოში წარმოდგენა;

გ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე ასახული იქნება მშენებლობის ეტაპზე ხეების ჭრის დაწყებამდე ფრინველთა ბუდეების დაკვირვების საკითხი, ფრინველთა ბუდეების ან სხვა ცხოველთა საცხოვრებელი ადგილების გამოსავლენად, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებების დასახვა/განხორციელების მიზნით. მონიტორინგის გეგმაში ექსპლუატაციის ეტაპზე (სიხშირე/დრო) ფრინველებისა და ხელფრთიანების დაზიანებასა და სიკვდილიანობაზე დაკვირვების ნაწილში, უნდა დაკონკრეტდეს (ელექტროგადამცემი ხაზის არსებობის გამო) წლის რომელ სეზონებზე მოხდება წელიწადში ორჯერ დაკვირვება. ამასთან, უნდა დასაბუთდეს ამ სიხშირით დაკვირვების საკმარისობა. ასევე საჭიროა ფრინველებსა და ხელფრთიანებზე მონიტორინგის წარმოების სამწლიანი ვადის გაზრდა (ან უნდა დასაბუთდეს ამ ვადის საკმარისობა). საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

დ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ასევე, ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

ე) საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;

ვ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ზ) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით;

თ) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ტექნიკური პირობების დაცვით;

ი) სამშენებლო სამუშაოების განხორციელება ანძების (N 8 საყრდენიდან („AP04“) N 28 („AP10“) საყრდენის ჩათვლით) განთავსების ადგილას უზრუნველყოს არქეოლოგიის ზედამხედველობით და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების შესაბამისად;

კ) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს პროექტის გავლენის ზონაში (ეგზ-ის დაცვის ზონა, საპროექტო გზა და სხვ.) მოქცეულ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმება;


ლ) მშენებლობის დაწყებისა და ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

მ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ცაგერის, ტყიბულის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/333-21-4-202506251500>

